

თ. ლეკვიშვილი - ვპრეკის ჩემპიონი და რეკორდსმენი

100 მ გულაღმა — 1,07,8

პ. სანეშიანი - მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი და რეკორდსმენი

სამხტომი — 17,22

გაკვეთილი უნს ქალბავს, თინათინ!


ბარსელონა, 6 სექტემბერი. 2000 წლისა ესპანეთის ეს ქალაქი, რომელიც ახლა მოცურავეთა, წყალში მხტომელთა და წყალბურთელთა ევროპული ჩემპიონატით ცხოვრობს. გუშინ აუტრალიელი მათემატიკოსი დაესწრო ამ საინტერესო შეჯიბრების საზეიმო გახსნის ცერემონიაში. იგი მოეწყო ბარსელონის წარმაც მთიან გარეუბანში მდებარე ახალ საცურაო აუზში — „ბერნარდო პიკონელში“. ეს საუცხოო სპორტული ნაგებობა 5000 მათემატიკოსს იტევს და იმდენი ხალხი მოვიდა, რომ ტრიბუნებზე ნეშის არ ჩავარდებოდა.

სექტემბრის დამდეგამდე ვერ განეხილა სამხრეთული შვის მცხუნვარება — სიცხე თითქმის 80 გრადუსია და მაღალი ტენიანობის გამო პირდაპირ სუნთქვა ტირის. ევროპის XII ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზე 20-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. პირველი შეჯიბრებები ჯერ კიდევ 4 სექტემბერს გაიმართა, მაგრამ პირველი ჩემპიონები მხოლოდ დღეს გამოვლინდნენ.

შეჯიბრების პროგრამაშია 84 სახეობა. მოცურავეები, ისევე როგორც ოლიმპიური თამაშებში, შედეგების 20 კომპლექტისთვის იბრძვიან. მაგრამ, ოლიმპიადისგან განსხვავებით, ჩემპიონატში ოლიმპიურად წარმოებს გუნდური ჩათვლა: I ადგილისთვის 18 ქულაა გათვალისწინებული, II ადგილისთვის — 8, III — 5, IV — 3, V — 2 და VI — 1. ესტაფეტებსა და წყალბურთში მოპოვებული ქულები ორკედდება.

პირველი დღის შესარჩევი შეჯიბრებების შემდეგ ყველა საბჭოთა მოცურავე ფინალში გავიდა. მათ შორის იყო საბჭოთა გუნდის ერთერთი ყველაზე ნორჩი წევრი — მოსკოველი მოსწავლე, 15 წლის ნ. პეტროვა; რომელმაც 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სსრ კავში-

პროლეტარულ მშენებელთა, შაბრთხილი



სა. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რეპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 176 (4170)

1970 წ.

სამხტომი. სამსახურით. შანი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

რის გოგონათა ახალი რეკორდი დაამყარა — 5,20,8. იგი მეორე იყო გაცურვაში, რომელიც ევროპული ჩემპიონატების ახალი რეკორდით (5,17,2) მოიგო გდრ-ის წარმომადგენელმა ე. შტოლცემ. შაბათს გამართულ წინასწარ ასპარეზობაში 100 მეტრზე მოცურავე ბრასისტა შორის საუკეთესო შედეგს მოსკოველმა ნ. პანენმა მიიღწია — 1,07,8. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა ფრანგმა მ. რუსომ — 5,28,8 წამი.

ტრამპლინიდან მხტომელ ქალთა შორის 4 ვარჯიშის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მ. იანკე (ჯერ) — 140,10 ქულა. II ადგილზე იყო მოსკოველი თ. საფონოვა — 139,05, III — ბ. ბეკერი (გერ) — 138,28. მეოთხე იყო საბჭოთა სპორტსმენი ე. ანოხინა — 131,64.

სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა რუმინელებთან ძნელი გამარჯვების შემდეგ შედარებით იოლად სძლია მასპინძლებს — ესპანელ სპორტსმენებს — 7:3. ასევე მეორე გამარჯვება იჯიმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა — იუგოსლავიის ნაკრებმა. ამჯერად მან დაამარცხა იტალიის ეროვნული გუნდი — 4:3.

...დღეს გათამაშებული ოქროს 5 მედლიდან საბჭოთა მოცურავეებმა

ორი დაისაკუთრეს. განსაკუთრებით საინტერესოა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის I კურსის სტუდენტის თინათინ ლეკვიშვილის ბრწყინვალე წარმატება. ამ 16 წლის ქალიშვილმა სამამულო სპორტის ისტორიაში პირველმა მოიხვეჭა ევროპის ჩემპიონის ტიტული გულაღმა ცურვაში, თანაც, კონტინენტის ახალი რეკორდით — 1,07,8.

ეს შედეგი 0,1 წამით სჯობს სახელგანთქმული ფრანგი მოცურავეს კ. კარონის 8 წლის წინანდელ მაღწევას. ისიც უნდა ითქვას, რომ ლეკვიშვილის ერთობ წამგებიან სიტუაციაში მოხდა ასპარეზობა: იგი პირველ ბილიზე გამოდიოდა. მაგრამ თინათინმა პირდაპირ შესაშური მიზანსწრაფვა, შეუდრეკელი ბრძოლისუნარიანობა და მაღალი ტექნიკა გამოავლინა და საბატო კვარცხლბეკის პირველ საფეხურზეც შედეგა ფეხი. ამ მოკრძალებული ქალიშვილის გამარჯვებას ხალხით სავსე ტრიბუნები დიდი აღტაცებით შეხვდა.

ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ცნობილმა უნგრელმა სპორტსმენმა ა. დარმატიმ — 1,07,9. პირველი ორი პრიზორის შედეგები უაღრესად მწვევე ბრძოლის აშკარა გამოხატულებაა.

III ადგილზეა მოლანდიელი კ. ბუტერი — 1,08,5. მსოფლიო რეკორდსმენმა, მოსკოველმა ნ. პანენმა ყველას აჯობა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში — 1,06,8. II ადგილზეა რ. ფ. მენე (საფრანგეთი) — 1,07,8, III — რ. კლეისი (გერ) — 1,08,1.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ბრწყინვალედ იასპარეზა შტოლცემ. მისი შედეგი — 5,07,9 — ევროპის ახალი რეკორდია და 7,4 წამით სჯობს გამარჯვებულის თანამემამულე ს. შტაინბახის უწინანდელ მაღწევას. აქ II ადგილზეც გდრ-ის წარმომადგენელია: ბ. შუშარდის შედეგია 5,18,8. ბრინჯაოს მედალი ერგო ინგლისელ შ. რიტკლიგს — 5,19,6.

100-მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით ყველას აჯობა რუსომ — 5,29,8. II ადგილი დაიკავა გულაღმა ცურვაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. მათუსმა (გერ) — 5,3,5. ხაბაროვსკელმა გ. კულოიკოვმა და მოსკოველმა ლ. ილიჩოვმა ერთნაირი მაჩვენებლებით (5,3,7) დაამთავრეს დისტანცია, მაგრამ ბრინჯაო ერგო კულიკოვს, რომელიც აუზის კედელს მეტოქეზე ოდნავ ადრე შეეხო. ბრძოლა დაამთავრეს 8-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელმა ქალბავსმა. ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა ბეკერმა — 420,68 ქულა. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა იანკემ — 407,22. მესიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზორი საფონოვა ამჯერად ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა — 405,60 ქულა.

სურათზე: ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენი თ. ლეკვიშვილი ესაუბრება თავის მწვრთნელს — საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს მ. ტატიშვილს. სხვათა შორის, ტატიშვილი ბარსელონაში ასწავებს თავის ნიჭიერ მოწაფეს.

ა. სააკოვის ფოტო.



სსრ კავშირი — 59 მედალი, აშშ — 51

ტურინი, 6 სექტემბერი. 12 დღის გაგრძელება მსოფლიოს უნივერსიადის, რომელშიც 9 სახეობის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ (მძლეოსნობა, ფარეგობა, წყალში ხტობა, ცურვა, ჩოგბურთი, წყალბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი და სპორტული ტანვარჯიში). მძლეოსანთა უკანასკნელი სტარტებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სოსუმელი ვ. სანევირის ასალი წარმატება. სამხტომში ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა სტუდენტთა ფორუმშიც იმარჯვა და უნივერსიადის რეკორდით დაამთავრა შეჯიბრება — 17,22 მ. კარგად გამოვიდა მეორე საბჭოთა სამხტომელი ნ. დუდინიც; მან უსუსტად 17 მ გადალახა და II ადგილი დაიკავა. მესამე იყო გ. დრეიზალი (გერ) — 16,93 მ. ოქროს მედალი მოიხვეჭა ნ. ჩიფოვამ, რომელმაც ბირთვი 19,51 მეტრზე პარა. სიმადლეზე ხტომაში ყველას აჯობა ვ. გავიროვმა, რომელმაც 218 სმ დაძლია პირველივე ცდაზე. ნ. პუხლიაკოვმა გამარჯვება იხვეჭა 5000 მეტრზე

რბენაში. საბჭოთა სტუდენტებმა მოაგეს ქალთა ესტაფეტა 4x100 მეტრზე. ალანინიშანია ტ. ულანის (აშშ) გამარჯვება 400 მეტრზე რბენაში (45,9). საბჭოთა გუნდის წარმომადგენელმა ხ. სავერუმა მოკრძალებული შედეგი აჩვენა (46,6) და V ადგილს დასჯერდა. ამ დისტანციაზე ქალთა რბენა უნივერსიადის რეკორდით (52,8) დაამყვანა ავსტრიელმა მ. სიკორამ. 800 მეტრზე რბენაში უაღიერესი იყო ფ.-ი. კემპერი (გერ) — 1,49,1. დუმარცხებლად განვლეს მთელი ტურნირი საბჭოთა კალათბურთელმა გავერმა. მათ ბოლო ორი მეტრი მოუგეს კუბელს (99:62), ამერიკელებს (78:71), და მსოფლიო სტუდენტურ კალათბურთში უმღიერესის სახელი მოიხვეჭეს. უნივერსიადი დაამთავრა, მედლები განაწილდა. საბჭოთა სტუდენტებმა 59 ვილო მოიპოვეს, აქედან — 26 ოქროსი, აშშ-ს დელეგაციამ 51 მედალი მიიღო, აქედან — 22 ოქრო.

